დამტკიცებულია

2023 წლის 09 მარტის

სამეთვალყურეო საბჭოს ოქმით

შპს რიკო ექსპრესი („კომპანია“)

რისკების კომიტეტის

წესდება

მუხლი 1 ორგანიზაციული პრინციპები

1.1 შესავალი

რისკის კომიტეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის რისკის მართვის ზედამხედველობისა და კაპიტალის, ლიკვიდობისა და დაფინანსების მოთხოვნების დაცვაში. რისკების კომიტეტი თავის როლს ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი ზედამხედველობით.

1.2 საფუძველი

რისკის კომიტეტი შეიქმნა 2023 წლის 09 მარტს. ამ დროისთვის შემუშავდა კომიტეტის წესდება. წესდება, რომელიც კომიტეტის საქმიანობას არეგულირებს, გადაისინჯა და განახლდა 2023 წლის 09 მარტს.

1.3 მიზანი

რისკების კომიტეტის მიზანია დახმარება გაუწიოს სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგ საკითხთა ზედამხედველობაში:

(i) კომპანიის რისკის მართვის სტრუქტურა;
(ii) კომპანიის რისკების მართვისა და რისკის შეფასების გაიდლაინები და პოლიტიკა ბაზრის, კრედიტის, ოპერაციების, ლიკვიდურობის, დაფინანსების, სტრატეგიული, მარეგულირებელი და სხვა ისეთი რისკების შესახებ, რომლებიც აუცილებელია კომიტეტის მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესასრულებლად;
(iii) კომპანიის რისკის ტოლერანტობა;
(iv) კომპანიის კაპიტალი, ლიკვიდობა და დაფინანსება; და
(v) კომპანიის საწარმოთა რისკების მართვის ფუნქციის შესრულება;

რითაც უზრუნველყოფილია ეფექტური სისტემის არსებობა, რომელიც გონივრულად არის შექმნილი, რათა შეაფასოს და გააკონტროლოს ასეთი რისკი მთელ კომპანიაში.

რისკების შეფასება და რისკების მართვა კომპანიის დირექტორის პასუხისმგებლობაა. კომიტეტის პასუხისმგებლობა ამ კუთხით ზედამხედველობითა და განხილვით შემოიფარგლება.

1.4 უფლებამოსილება

- რისკების კომიტეტის წესდება ადგენს რისკების კომიტეტის უფლებამოსილებას განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მისთვის დადგენილი პასუხისმგებლობა, როგორც ეს აღწერილია აქ.
- თავისი მოვალეობების შესრულებისას, რისკების კომიტეტს უნდა ჰქონდეს შეუზღუდავი წვდომა ხელმძღვანელობის წევრებთან, კომპანიაში დასაქმებულ სხვა პირებთან და ყველანაირ შესაბამის ინფორმაციასთან, რომელსაც კომიტეტი

აუცილებლად მიიჩნევს დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად. კომიტეტს შეუზღუდავი წვდომა უნდა ჰქონდეს ასევე კომპანიის ჩანაწერებთან, მონაცემებთან და ანგარიშებთან. იურიდიული ან კონფიდენციალური მოსაზრების გამო მოთხოვნილი დოკუმენტებით სარგებლობაზე უარის მიღების შემთხვევაში, აუდიტის კომიტეტი საკითხის გადასაჭრელად მიმართავს სამეთვალყურეო საბჭოს.

- რისკების კომიტეტი უფლებამოსილი და მიმართულია, დაეხმაროს საბჭოს შემდეგი საკთხების ზედამხედველობაში:
  - კომპანიის საწარმოო რისკების მართვის ჩარჩოს ჩამოყალიბება და ფუნქციონირება, მათ შორის პოლიტიკისა და პროცედურების ჩათვლით, რომლებიც ადგენს რისკის მართვის მმართველობას, რისკის მართვის პროცედურებს, რისკების კონტროლის ინფრასტრუქტურას და პროცესებსა და სისტემებს კრედიტის მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობის განხორციელებისა და მონიტორინგისთვის; საბაზრო, საოპერაციო, ლიკვიდურობა, საპროცენტო განაკვეთის სენსიტიურობა და სტრატეგიული რისკები, მათ შორის განვითარებადი რისკები;
  - მნიშვნელოვანი რისკის მართვისა და შესაბამისობის პოლიტიკის მიღება, განხორციელება და პერიოდული განხილვა; და
  - კომპანიის რისკის აპეტიტის განაცხადი.

კომიტეტი შეიძლება ცალ-ცალკე შეიკრიბოს აღმასრულებელ სესიაზე რისკების აღმასრულებელ პირთან, რამდენჯერაც კომიტეტი ჩათვლის საჭიროდ ან მიზანშეწონილად.

1.5 რისკის კომიტეტის შემადგენლობა

- კომიტეტი შედგება სამი წევრისაგან. კომიტეტის ყველა წევრს უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი ცუდნა ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის შესახებ ან გამოცდილება რისკის გამოვლენის იდენტიფიცირების, შეფასებისა და მართვის სფეროში. მინიმუმ ერთ წევრს ექნება დიდ, კომპლექსურ კომპანიაში რისკის გამოვლენის, შეფასების და მართვის გამოცდილება. ვინაიდან რისკების კომიტეტის პასუხისმგებლობები რეგულირების, ეკონომიკისა და ანგარიშგების სფეროში მიმდინარე ცვლილებების საპასუხოდ ვითარდება, მნიშვნელოვანია, რომ პერიოდულად ხელახლა შეფასდეს წევრების კომპეტენციები და კომიტეტის უნარების საერთო ბალანსი ახალი საჭიროებების ფონზე.

- კომიტეტის წევრებს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.

1.6 კომიტეტის თავმჯდომარე

სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს რისკის კომიტეტის თავმჯდომარეს.

1.7 უფლებამოსილების ვადები

კომიტეტის წევრები ინიშნებიან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადით ან წევრის გადადგომამდე ან გარდაცვალებამდე. სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს კომიტეტიდან ნებისმიერი წევრი მიზეზით ან მის გარეშე. კომიტეტში არსებულ ვაკანსიებს საბჭო ავსებს.

1.8 მრჩეველები

კომიტეტს აქვს ერთპიროვნული უფლებამოსილება ჰყავდეს, აკონტროლოს და გაათავისუფლოს ნებისმიერი კონსულტანტი, რომელიც ეხმარება კომიტეტის პასუხისმგებლობების შესრულებაში და გააჩნია ექსკლუზიური უფლებამოსილება დაამტკიცოს ასეთი მრჩევლის ანაზღაურება და სხვა პირობები. კომიტეტს ასევე აქვს უფლებამოსილება მიიღოს რჩევები შიდა ან გარე იურიდიული, ბუღალტრული ან სხვა მრჩეველებისგან და აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება დაამტკიცოს ასეთი მრჩეველის ანაზღაურება და სხვა პირობების დაცვა რისკების კომიტეტის წინასწარი დამტკიცების პროცედურების შესაბამისად (არსებობის შემთხვევაში).

1.9 ქვორუმი

კომიტეტის წევრთა უმრავლესობა წარმოადგენს კვორუმს ნებისმიერი ბიზნესის გარიგებისთვის კომიტეტის ნებისმიერ სხდომაზე. კომიტეტის წევრთა უმრავლესობის დასწრებით, პირადად ან ტელეფონით, შედგენილი აქტი არის კომიტეტის აქტი.

მუხლი 2 საოპერაციო პრინციპები

2.1 რისკების კომიტეტის ღირებულებები

რისკების კომიტეტი მოქმედებს კომპანიის ღირებულებებისა და ეთიკის კოდექსის შესაბამისად და და მიკროსაფინანსო კომპანიის ადმინისტრატორთა და წინამდებარე დებულებაში გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებული ზოგადი წესების შესაბამისად.

2.2 სამუშაო გეგმა

რისკების კომიტეტის თავმჯდომარე, სამუშაო გეგმის შედგენის მიზნით, უნდა თანამშრომლობდეს ზედა დონის ხელმძღვანელ პერსონალთან და რისკების მთავარ აღმასრულებელ პირთან, რათა უზრუნველყოს რისკების კომიტეტის მოვალეობების დაგეგმვა და განხორციელება.

2.3 შეხვედრების დღის წესრიგი

თავმჯდომარე, რისკების კომიტეტის წევრებთან, კომპანიის ზედა დონის ხელმძღვანელ პერსონალთან და რისკების მთავარ აღმასრულებელ პირთან კონსულტაციის შემდეგ, ადგენს რისკების კომიტეტის სხდომებისთვის დღის წესრიგს.

1.1. საინფორმაციო მოთხოვნები

რისკების კომიტეტი განსაზღვრავს და წარადგენს ინფორმაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება ინფორმაციის ხასიათს, მოცულობასა და მიწოდების ვადებს. რისკების კომიტეტს ინფორმაცია მიეწოდება რისკების კომიტეტის თითოეულ სხდომამდე სულ მცირე ერთი კვირით ადრე.

2.4 დახურული სესიები

რისკების კომიტეტი გეგმავს და, საჭიროების შემთხვევაში, ატარებს დახურულ სხდომას კომპანიის დირექტორთან, ფინანსურ დირექტორთან (CFO), რისკების მთავარ აღმასრულებელ პირთან, გარე რწმუნების პროვაიდერებთან და ნებისმიერ სხვა თანამდებობის პირთან, რომელთა დასწრებასაც თითოეულ სხდომაზე რისკების კომიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს.

2.5 მომზადება და დასწრება

რისკების კომიტეტის წევრები ვალდებულები არიან, მოემზადონ კომიტეტის სხდომისთვის და მონაწილეობა მიიღონ კომიტეტის მუშაობაში.

2.6 ინტერესთა კონფლიქტი

რისკების კომიტეტის წევრებმა უნდა დაიცვან კომპანიის ქცევისა და ეთიკის ნორმები, რომელიც კომპანიაში მოქმედებს. რისკების კომიტეტის წევრებს ევალებათ, კომიტეტს აცნობონ ნებისმიერი გამოვლენილი ინტერესთა კონფლიქტის ან ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შესაძლებლობის შესახებ. თუკი არსებობს რაიმე ეჭვი იმის თაობაზე, რომ რისკების კომიტეტის რომელიმე წევრმა (წევრებმა) მონაწილეობა არ უნდა მიიღოს(ნ) ხმის მიცემის პროცედურაში, კომიტეტი ამის თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს კენჭისყრის საფუძველზე.

2.7 სხდომები

კომიტეტი იკრიბება ფისკალურ კვარტალში მინიმუმ ერთხელ ან უფრო ხშირად, როგორც ის განსაზღვრავს თავისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების ეფექტურად შესასრულებლად. კომიტეტის თავმჯდომარე დროდადრო წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშს კომიტეტის ქმედებებისა და ამ წესდების მიხედვით კომიტეტის მოვალეობების შესრულების შესახებ. კომიტეტს შეუძლია დაადგინოს კომიტეტის რეგულარული შეხვედრების განრიგი. კომიტეტის თავმჯდომარეს ან კომპანიის მდივანს (არსებობის შემთხვევაში) შეუძლია მოიწვიოს სპეციალური სხდომა ნებისმიერ დროს, როგორც მას ჩათვლის მიზანშეწონილად, ან შესაძლებელია გადაწყვეტლება მიღებულ იქნას ერთობლივი წერილობითი თანხმობით, როდესაც ამას საჭიროდ ან სასურველად ჩათვლის კომიტეტიი ან მისი თავმჯდომარე.

2.8 ოქმი

კომიტეტის მიერ ფუნქციათა შესრულების აღსაბეჭდად დგება სხდომების ოქმი და ხდება მათი შენახვა. სხდომის ოქმი შედგენილი უნდა იყოს სამუშაო ფორმატში (პროექტის სახით), რისკების კომიტეტის სხდომიდან სულ მცირე ორი კვირაში

2.9 დასწრება

კომიტეტს შეუძლია მოიწვიოს მენეჯმენტის წევრები ან მრჩევლები შეხვედრებზე დასასწრებად და შესაბამისი ინფორმაციის წარსადგენად; იმ პირობით, რომ კომიტეტი შეიძლება შეიკრიბოს დახურულ სესიაზე თავისი შეხედულებისამებრ.

2.10 სამდივნო მომსახურება

რისკების მთავარი აღმასრულებელი პირი (ან სხვა სპეციალურად დანიშნული პირი) უნდა აგვარებდეს და კოორდინაციას უწევდეს სხდომების მოწყობას და კომიტეტს სხვა მხრივაც უნდა ეხმარებოდეს, დროისა და რესურსების არსებობის ფარგლებში.

2.11 კომიტეტის წევრთა ანაზღაურება

- კომიტეტის წევრებს შეიძლება აუნაზღაურდეთ მგზავრობასა და კომიტეტთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.
- კომიტეტის წევრების ანაზღაურების განაკვეთები და დანამატები დროის ან/და გაწეული სამუშაოსთვის იდენტურია დირექტორისთვის განსაზღვრულისა.

მუხლი 3 ძირითადი ფუნქციები და ვალდებულებები

3.1 პასუხისმგებლობა

რისკებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის შესრულებისას, სამეთვალყურეო საბჭო ახდენს შემდეგი ფუნქციების დელეგირებას კომიტეტზე:

- პერიოდულად განიხილოს და გაუწიოს რეკომენდაცია მენეჯმენტს რისკის აპეტიტის პარამეტრების შესახებ, რომლებიც უნდა გამოიყენოს მენეჯმენტმა კომპანიის ოპერირებაში;
- მიიღოს ინფორმაცია კომპანიის ბიზნეს პრაქტიკის, პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ ზემოთ ჩამოთვლილ რისკებთან დაკავშირებით;
- შედეგების მონიტორინგი კომპანიის რისკის აპეტიტის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- რისკების მთავარი აღმასრულებელი პირისა და შესაბამისობის მთავარი აღმასრულებელი პირის რისკისა და შესაბამისობის ანგარიშების გადახედვა, მათ შორის, ანგარიშებს ძირითადი რისკების ზემოქმედების შესახებ და გადადგმული ნაბიჯები ასეთი ზემოქმედების მონიტორინგის, შერბილებისა და კონტროლისთვის;
- პერიოდულად განიხილოს მენეჯმენტის მარეგულირებელი კორესპონდენცია და ქმედებები;

- კომპანიის სტრეს ტესტირების პროგრამისა და შედეგების განხილვა და დამტკიცება;
- კომპანიის მენეჯმენტთან ერთად პერიოდულად განიხილოს რისკის პოლიტიკა და გადადგმული ნაბიჯები, რათა უზრუნველყოს შესაბამისი პროცესები ამ პოლიტიკის განსახორციელებლად, ასევე კომპანიის მიმდინარე და განვითარებადი რისკების იდენტიფიცირება, გაზომვა, მონიტორინგი და კონტროლი. კომიტეტი არ არის უფლებამოსილი იმოქმედოს საბჭოს ნაცვლად ნებისმიერ ისეთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც კანონით, რეგულაციებით ან არსებული პოლიტიკით შედის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში.

3.2 სხვა პასუხისმგებლობები

კომიტეტი განახორციელებს ამ წესდების, კომპანიის სადამფუძნებლო შეთანხმების, კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების და მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამის სხვა საქმიანობას, როგორც კომიტეტი ან საბჭო საჭიროდ ან მიზანშეწონილად მიიჩნევს. თავისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების განხორციელებისას, კომიტეტის პოლიტიკა და პროცედურები უნდა დარჩეს მოქნილი, რათა მას შეეძლოს საუკეთესოდ მოახდინოს რეაგირება ცვალებად გარემოებებსა თუ პირობებზე.

3.3 კომიტეტის წლიური შეფასება

კომიტეტი ახორციელებს კომიტეტის მუშაობის შეფასებას მინიმუმ ყოველწლიურად. შეფასება განიხილავს, მათ შორის, კომიტეტის შემადგენლობას, პასუხისმგებლობებს, სტრუქტურას, პროცესს და ეფექტურობას. როგორც ამ შეფასების ნაწილი, კომიტეტი ასევე განიხილავს კომიტეტის წესდებასაც.

კომიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, წარუდგენს რეკომენდაციებს მენეჯმენტს ან საბჭოს საკუთარი სამუშაო შეფასების და წესდების განხილვის შედეგად. ამ პასუხისმგებლობების შესრულებისას აღიარებულია, რომ რისკის შეფასება და რისკების მართვა კომპანიის მენეჯმენტის პასუხისმგებლობაა, ხოლო კომიტეტის პასუხისმგებლობაა ზედამხედველობა და განხილვა. კომიტეტის თითოეულ წევრს უფლება აქვს დაეყრდნოს შემდეგს:

კომპანიის შიდა და გარე ექსპერტების რჩევას; და

(i) კომპანიის შიდა და გარე ექსპერტების რჩევას; და
(ii) მენეჯმენტისა და მესამე პირის მიერ კომიტეტისთვის მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტეს, საწინააღმდეგო მითითებების ან ფაქტობრივი ცოდნის არარსებობის პირობებში (რაც დაუყოვნებლივ ეცნობება საბჭოს).

3.4 დადასტურება/ხელმოწერები:

დირექტორი: _____ თარიღი: 09.03.2023

რისკების კომიტეტის თავჯდომარე: _____ თარიღი: 09.03.23

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე: _____ თარიღი: 09.03.23